ანზორ მესხიშვილი

„ჩემო ქართველო“ მიწავ!

ანზორ მესხიშვილი

„ჩემო ქართველო მიწავ!“

თბილისი 2015

რედაქტორისგან

ამ პატარა კრებულის რედაქტორობა და წინასიტყვეობის დაწერა, ჩემა მეგობარმა, კოლეგამ, თანამოაზრემ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პატრიოტმა და ქომაგმა - ანზორ მესხიშვილმა შემომთავაზა, რათა ობიექტურად გამომეთქვა ჩემი დამოკიდებულება აქ მოტანილი მასალის თაობაზე.

რამოდენიმე ვარიანტის სქემა მოვხაზე კიდეც, მაგრამ იგი ყველა მკითხველისათვის გასაგები და დამაფიქრებელი, რომ გამხდარიყო, პროფესიულ მსჯელობას, სათანადო შენიშვნებისა და წინადადაებების ჩამოყალიბებას, ვამჯობინე, თქვენთვის გამეცნო უნიჭიერესი პოეტის, **მანანა დანგაძის** „შემაძრწუნებელი“ — ლექსი „ჩემო ქართულო მიწავ!“ რამაც ბუნებრივია ამ კრებულის სათაურის ბედიც გადაწყვიტა.

ჩემო ქართულო მიწავ!

კავო, სახნისო, გუთანო,
ჩემო ქართულო მიწავ!
„ღირღიტავ ბანი უთხარი“...
შენს დიდ ილიას ვფიცავ!
გეყმო და გაგეგუთანო,
შენი ერთგული მიცან,
მერე კი არ დაინანო
ერთი მტკაველი მიწა,
ოშკო, სიონო, ხახულო,
მტკვარო, რიონო, რიწავ,
მარანო, ღვინოვ კახურო,
მამულო, ტკბილო ფიქავ!
შენ სადღეგრძელოდ ავენთე,
შენთვის დამწვარი მიცან,
მერე კი არ დაინანო
ერთი მტკაველი მიწა!

* * *

ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარად!
ის არის ჩვენი „წმინდა წმინდათა“,
უნდა გვახსოვდეს მარად და მარად.
აბა ერთ გოჯას თუ სადმე ნახავთ,
რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული!
იმის სიღრმეში ჩამარხულია
ჩვენი წინაპრის სული და გული!

აკაკი

* * *

საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას — მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში, როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნულობაზე ააღებინოთ?!

ვაჟა

* * *

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ!“.

გალაკტიონი

„ქალაქში წასულო ქიტეს და ყაყიტავ,
წყეულიმც იქნება, ამ თხოვნას ვინც წაშლის:
ღმერთი არ გაგიწყრეთ, მიწა არ გაყიდოთ,
პაპა არ დამარხოთ გაყიდულ მიწაში.“
ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

საქართველოს მიწა განსაცდელშია!

მიმართვა საქართველოს საზოგადოებას

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

მიწა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები გააჩნია:

I. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა, მის მეზობლობაში კი — ყველაზე საუკეთესო. ეს

ქართველს ანიჭებს იმის განცდას (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწის შესანარჩუნებლად უაზრო არ არის: იგი თავის შთამომავლობას დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ ასეთი მოარული ფრაზები როგორიცაა "მშვენიერი საქართველო", "ტურფა საქართველო", "ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო ჩემო სამშობლო მხარეო", "ქართულზე უკეთეს ხილს ვერსად შეჭამ", "აქაურზე უკეთეს წყალს ვერსად დალევ", "ჩვენზე უკეთესი საღვინე ყურძენი არსად მოდის" და ა.შ. მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ქართველმა კაცმა ისტორიულად იცის, რომ საქართველოს მიწის დაკარგვით იგი და მისი შთამომავლობა მომავალს კარგავენ.

II. ქართველმა კაცმა იცის, რომ საქართველოს სამხედრო, კულტურული, მორალური თვალსაზრისით, ზოგადად – მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისით, აგრეთვე საკუთარი ცხოვრების მოწყობის ნიჭის თვალსაზრისითაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს. ამაში მას ეგულება ერთ-ერთი უპირატესობა, რომელსაც იგი თავის შთამომავლობას უტოვებს. ქართველმა იცის (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მისი ერის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლებით (მაგალითად, ყველას ესმის, რომ ადამიანი, რომელსაც თვეში ერთხელ მაინც მთაზე შედგომა და ქვეყნის გადახედვა უწევს, უფრო მეტად არის აღჭურვილი წარმოსახვითა და აქტიური აზროვნების უნარით, ვიდრე ის, ვინც ტრამალში ცხოვრობს).

აზროვნების აქტიურობა, რაც ადამიანს ბავშობიდან უნვითარდება, როგორც ცნობილია, დიდი ფაქტორია მისი შემოქმედებითი აქტიურობისთვის, შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში.

III. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვთ

სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში, სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც, ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა - საქართველოს ბუნება ადამიანს არც ანაზებს, არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრავს. იგი მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის!

საქართველოს კანონმდებელს არა აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს თუნდაც ერთი გოჯი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა ვერ იფუნქციებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერისთვის არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან, არც მისდამი საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამარ¬თლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და “ამოწურვადი” (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირო-ბებით). სასოფ-

ლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ისტორიას ბარდება!

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენსამე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწის გასხვისებაზე სპეციალური, დამატები¬თი ნებართვის მიღების შემაფერხებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვებიც.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და

- უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

- იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. ამ ქვეყნების დემოგრაფიული და საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში ჩვენთვის ტრაგიკულად შეცვლის

პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

დღეს საქართველოს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება. მის ძირითად სიმდიდრეს — მის მიწას — უპასუხიმგებლო ადამიანები უცხოელებზე გაყიდვას უპირებენ. საქართველოს კანონმდებელნი იმის უშუალო ცდუნების წინაშე დგანან, რომ საარაკო ღალატი ჩაიდინონ და ახალი კანონპროექტის თანახმად, ჩვენი მიწის განიავების იურიდიული პირობები შექმნან.

ძალიან მოკლედ მოგახსენებთ საქმის ვითარებას.

საქართველოს უპასუხისმგებლო და უმეცარმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გააუქმა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილი, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომვლობის სასიცოცხლო და საარსებო ბაზა აწ და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების უცხოელ მსურველებთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების “ზურგს უკან შევიდა”. მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა. საზოგადოებამ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე დაიდო.

კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა, როგორც აკადემიურ წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. მასზე არც ერთი დადებითი გამოხმაურება არ ყოფილა საჯარო სივრცეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტში (არც მის “ალტერნატიულ ვარიანტში,” რომელიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტშია შემუშავებული) არ ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ასევე, არ ჩანს, ანალიზზე დაფუძნებულ რა გამოწვევებს პასუხობს იგი. კანონპროექტი უნდა ემსახურებოდეს ხედვის, სტრატეგიის და დასახული მიზნების განხორციელებას და არა შიშველი პრინციპების ჩამონათვალს. თუ პარლამენტი ეცდება ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაჟღენთილი, ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა. საქართველოს პარლამენტის წევრებმა მხარი არ უნდა დაუჭერენ ქართული მიწის განიავების დამდგენ კანონს მიღებას.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

- საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთა-

რი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.

- საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისგან, არამედ სასურსათოსგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან) — კონკრეტულად, მას მუდმივად და უცვლელად უნდა ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა — თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა.

- თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, მაშინ უყოყმანოდ იწირება თეორის მოთხოვნა. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ.

- ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

- ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა;

- მიწა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდგმისა და ერის განმტკიცების ფაქტორიც;

- ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მიწასთან მარადიულ კავშირშია;

- გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია;

- მიწისგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლას.

- ისტორიულად, სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის "მამულსაც" იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის — თავისი სახელმწიფოს — დაცვის სახით იცავდა — და იცავს. ეს ბუნებისა და საზოგადოების ურყევი კანონია. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

- მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავე¬ბით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება.

დღეს ქართველმა ერმა მთლიანად იცის, რომ მოცემულ პირობებში ჩვენი მიწის უცხოელებზე განუკითხავი გასხვისება ჩვენი ქვეყნისთვის მავნეა. საქართველოს პარლამენტმა ხელი უნდა აიღოს შემოსული არასასურველი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელ-მყოფელი კანონპროექტის განხილვაზე და ორიენტაცია მოახდინოს მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონის (მიწის კოდექსი) შემუშავებაზე უახლოესი თვეების მანძილზე.

ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს, რათა ხელი არ ახლონ ჩვენს მარადიულ სამკვიდრებელს.

საზოგადოების „საქართველოს მიწის გუშაგი“ სახელით:

მერაბ ბოხუა, მამუკა გიორგაძე, რევაზ გოგოხია, თენგიზ დიხამინჯია, მერაბ ვაჩნაძე, ჯემალ კაციტაძე, პაატა კოლუაშვილი, გულნარა მარგველაშვილი, გურამ მაძაცარია, ზაზა მგალობლიშვილი, ანზორ მესხიშვილი, ზურაბ მიქელაძე, გრიგოლ მურღულია, ნოდარ ნათაძე, ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, ოთარ ჟორდანია, ბადრი რამიშვილი, ყარამან ფაღავა, ლევან ფრუიძე, პაატა ცნობილაძე, მერაბ შათირიშვილი, ლევან ჩაჩუა, შოთა ჩხეიძე, ნიკო ჩიხლაძე, ზაურ ჯინჯოლავა, დოდო ჯოლოხავა, მიხეილ ჯიბუტი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N49, 2015 წ.

ქართულო მიწავ!
„არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს,
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა“.
აკაკი წერეთელი

ქართველებო, გამოეფხიზლეთ!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, პროფესორმა იოსებ ბაჩიაშვილმა 2014 წელს გამოსცა წიგნი: „ერი და დრო“ (ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო). ვისაც აინტერესებს საქართველოს ბედ-იღბალი, მისი დღევანდელი მდგომარეობა, საით მიდის ქვეყანა და რა უნდა გაკეთდეს მისი ბედნიერი მომავლისთვის, ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს. ყველა ქართველს, განსაკუთრებით — საქართველოს მთავრობის წევრებს, ქალაქის მერებსა და რაიონის გამგებლებს ვურჩევ და ვთხოვ, აუცილებლად წაიკითხონ ზემოაღნიშნული წიგნი. ჩემი მიზანი არ არის, ამ წიგნის ღირსება შევაფასო. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ თავი ვალდებულად ჩავთვალე, გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი დღევანდელი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ბატონ იოსებ ბაჩიაშვილთან შეთანხმებით, ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი და მოსაზრება ამოღებულია მისი ნაშრომიდან. ჟურნალისტი არ ვარ, ამიტომ, თუ ჩემს წერილში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები მხატვრულად გამართული არ იქნება და თუ არ მოგეწონებათ, შემინდეთ.

ქართველებს გვაქვს სიმღერა, რომელიც ასე იწყება: „ქეიფს ვიწყებ დილიდან, ვიქირავებ დილიჟანს...“. დილიდანვე ქეიფი კი არა, მუშაობა უნდა დავიწყოთ და საათიან სადღეგრძელოებს შევეშვათ. ასევე გვაქვს სიმღერა: „არასოდეს მიცხოვრია გლეხურად, კაცი მერქვა, თავზე ქუდი მეხურა“. ჩვენ გლეხს პატივს არ ვცემთ, არ ვუქმნით პირობებს, არ ვეხმარებით, რომ შექმნას მაღალხარისხიანი და დიდი რაოდენობის პროდუქტი, არ ვაფასებთ და არ ვუვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და ვანიავებთ. **ჰოლანდიელი ფერმერი 182 ადამიანს კვებავს, ხოლო ჩვენი გლეხი (ფერმერი) ძლივს არჩენს თავის ოჯახს. ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში ძროხები 6-**

ჯერ მეტს იწველიან, ვიდრე საქართველოში; ჰოლანდიაში სიმინდის მოსავალს 8-10 ტონას იღებენ, ჩვენთან — 3-5 ტონას, იქ ხორბლის მოსავალს 4-6 ტონას იწევენ, ჩვენთან — 1-2 ტონას. ჰოლანდია ტერიტორიით საქართველოზე პატარა ქვეყანაა, მოსახლეობით — მეტი. ზღვა ზამთარში იყინება, მაგრამ იმდენ თევზს იჭერენ, რომ ბევრ ქვეყანაში გააქვთ გასაყიდად; ეს ქვეყანა მსოფლიოში საუკეთესო გემთმშენებელია. ჩვენ უკეთესი კლიმატური პირობები გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს რამდენადმე მაინც განვითარებული თევზჭერის ინდუსტრია. ჩვენს ისტორიულად საზღვაო ქვეყანას ერთი ნავიც კი არ გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა პრიოდში შექმნილ რამდენიმე ეგზემპლარს. ერთი ჰოლანდიელი წელიწადში უშვებს 179 227 ევროს ღირებულების პროდუქციას, ხოლო ქართველი იმავე პერიოდში — 1103 ევროს ღირებულების პროდუქციას, ანუ ერთი ჰოლანდიელი უდრის 162 ქართველს. ვაღიაროთ, რომ შეურაცხმყოფელი ციფრებია.

იოსებ ბაჩიაშვილი თავის წიგნში ასევე აღნიშნავს: „უკვე 23 წელია, რაც ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია და ისევ იმ სიდუხჭირესა და უბედურებაში ვიმყოფებით, რომლითაც ჩვენი დამოუკიდებლობა დაიწყო. 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, **გერმანია** სულიერად, მატერიალურად და პოლიტიკურად სრულიად განადგურებული ქვეყანა იყო, 23 წლის შემდეგ, ანუ 1968 წელს კი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ იქცა. იგივე შეიძლება ითქვას **იაპონიაზე**. 1945 წლის შემოდგომაზე ატომური ბომბებით განადგურებული და მორალურად დაცემული იაპონია, 23 წლის შემდეგ, ანუ 1968 წელს უკვე ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო. დღესაც კი ამ ქვეყანას პერმანენტულად თავს ატყდება უძლიერესი სტიქიური უბედურებები, მაგრამ ნახეთ, როგორ უმკლავდება ეს ერი ყველაფერს და ბევრი მონაცემით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. **ისრაელი** მუდმივად არის ჩართული ომში. მისი ტერიტორია სამჯერ ნაკლებია საქართველოზე. მოსახლეობა კი ორჯერ მეტია, კლიმატი და ბუნებრივი პირობები — უარესი, ვიდრე საქართველოში. მიუხედავად ამისა, ყვავის ისრაელი. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტი არის 37 035 აშშ დოლარი, საქართველოში — 5 200 დოლარი და ამ მონაცემით მსოფლიოში 119 ადგილზე ვართ. ისრაელში მეცნიერებაზე იხარჯება მშპ-ის 4.4%, რომელიც 2-ჯერ მეტია აშშ-ის შესაბამის ხარჯზე, 40-ჯერ მეტი საქრთველოს შესაბამის ხარჯზე, ამიტომ მსოფლიოში ყველაზე მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს. მთლიანი შიგა პროდუქტის ერთ სულზე მსყიდველობითი უნარის მიხედვით — 5200 აშშ დოლარი — საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: უკრაინა — 6700 აშშ დოლარი: სერბეთი — 10 900 აშშ დოლარი; მაკედონია — 9700 აშშ დოლარი;

აზერბაიჯანი — 10200 აშშ დოლარი; საქართველო ჩამორჩება სომხეთსაც (5400 აშშ დოლარი), რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით უარეს მდგომარეობაშია. საქართველოში 1987-1989 წლებში ყოველწლიურად იწარმოებოდა 36 მილიარდი ამერიკული დოლარის პროდუქცია (დღევანდელი კურსის შესაბამისად). 2013 წელს ვაწარმოეთ ერთი მილიარდი ამერიკული დოლარის პროდუქცია. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ვაწარმოებთ 18 კგ მარცვლეულს, მოვიხმართ — 128კგ-ს; ხორცს ვაწარმოებთ 9კგ-ს, მოვიხმართ — 26კგ-ს.

უამრავი ამგვარი მაგალითის მოყვანა შეიძლება. **რატომ მათ არ დასჭირდათ ფეხზე დასადგომად „დიდი ხანი“? რატომ ვერაფერი შევძელით კინკლაობის, ომების, მექრთამეობის, დატაცებისა და ყაჩაღობის გარდა? რატომ არის ჩემი თანამემამულე ღატაკი, შეურაცხყოფილი და გაბითურებული? რატომ ვერ ვხედავ ჩემს სამშობლოში მომღიმარ სახეებს? რატომ ტყუის ყველა მთავრობა? რატომ მიდის ქართველი ქალი და კაცი სხვა ქვეყანაში შავ მუშად? და სხვა ბევრი რატომ, რატომ და რატომ?“**

რატომ ამბობენ, ის დრო ჯობდაო, როცა ქართველი ქალები დატყვევებული მიყავდათ სპარსეთში (ირანში). არ ვიყვიროთ? არ გავგიჟდეთ? თუ ვიმღეროთ: „არასოდეს მიცხოვრია გლეხურად, კაცი ვიყავ, თავზე ქუდი მეხურა“, „ქეიფს ვიწყებ დილიდან, ვიქირავებ დილიჟანს“... ვაქოთ მთავრობა, სამშობლო და ქართველი ვაჟკაცები (ჯიპით რომ მისეირნობს რუსთაველზე და „მალბოროს“ ცარიელ ყუთს რომ ისვრის ან, ჩემი დედის მტყ...ი ვიყოო, რომ იძახის, ან ქალიშვილი რომ ამბობს, მამაჩემის ბოზი ვიყოო) და ერთსაათიანი სადღეგრძელოები შევსვათ?!

საქართველოში 4700 სოფლიდან 700-ზე მეტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში იყო ქართველებით დასახლებული მარტყოფი, ახლა ყველაზე დიდი სოფლებია კაბალი (ლაგოდეხში) და იორმუღანლო (საგარეჯოში), აზერბაიჯანელებით დასახლებული. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში პირველ ოცეულში იყო მხოლოდ ქართული გვარები. დღეს პირველ ადგილზეა ბერიძე (12419), მეორეზე — მამედოვი (12185), მესამეზე — კაპანაძე (8566), მეოთხეზე —ალიევი (7936)... მეთვრამეტეზე — ბაირამოვი (4265).

ხშირად მოისმენთ, — გავყიდოთ მიწა უცხოელებზე, თან ხომ არ წაიღებენო. **მე-19 საუკუნეში ვაჩნაძეების ოჯახმა ლაგოდეხში სამი აზერბაიჯანული ოჯახი ჩამოასახლა საქონლის მოსამწყემსად. დღეს ეს სამი ოჯახი 16 000 მცხოვრებად იქცა და სოფელი კაბალი ყველაზე დიდია საქართველოში. ყველაზე დიდი ქართული სოფელი მარტყოფი კი მესამე ადგილზეა.**

ერთი წლის განმავლობაში, 2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე, უცხოელების მიერ შეიქმნა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც საქართველოში იყიდეს 217 ნაკვეთი.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპის ფონზე საქართველოში საწინააღმდეგო ვითარებაა —ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, უარესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები და ამდენად, მწვავდება დემოგრაფიული პრობლემებიც. შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში ასეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარება არასოდეს ყოფილა.**

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 2 მილიონ 109 ათასი კაცი შეადგინა და 1814 წელთან შედარებით 5,3-ჯერ გაიზარდა.

ბოლო ხანს საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს — 5 მილიონ 467 ათასი კაცი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა და, ოფიციალური მონაცემებით, ოდნავ გაიზარდა მხოლოდ ბოლო წლებში. არადა, ისტორიულად, სამხრეთ და, საერთოდ, კავკასიაში ქართველები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი იყო, შემდეგში კი ვითარება არსებითად შეიცვალა.

1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35,1 პროცენტი, ანუ ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1970 წელს — 28,1 პროცენტი, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 18,9 პროცენტი შეადგინა. სამაგიეროდ, 1926-2010 წლებში აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 30,4 პროცენტიდან 38,0 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს მოსახლეობის წილი სულ უფრო მცირდება, აგრეთვე, სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა — 39,5 პროცენტს, ხოლო სომხეთისა — 15,0 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა სჭარბობდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 34 პროცენტით გაიზრდება, სომხეთის — 7 პროცენტით, საქართველოს მოსახლეობა კი 28 პროცენტით შემცირდება.**

საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უა-

ღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ადრინდელ მიმზიდველობას კარგავს ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში ეროვნული ცნობიერების შემცირება გარდაუვალია, რაც განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს.

იოსებ ბაჩიაშვილის წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად საქართველოში ბევრი სოფელი გაუკაცრიელებულია. **2002 წლის აღწერის მიხედვით, 162 სოფელში მოსახლეობა აღარ ცხოვრობს; 10 კაცი და უფრო ნაკლები ცხოვრობს 152 სოფელში; ხოლო 905 სოფელში, ანუ ყოველ მეოთხეში მხოლოდ 100-მდე მცხოვრებია. ეს იმას ნიშნავს, რომ მთის ძნელად–მისადგომ სოფლებში უგზოობის, უშუქობისა და ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე, ძირითადად, მოხუცებიღაა დარჩენილი. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ მოსახლეობისგან იცლება საქართველოს ისტორიული კუთხეები — რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი... მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად იქ მხოლოდ 22 ათასი კაცი ცხოვრობს, ძირითადად, ასალოვანი ადამიანები.**

გამოდის, **მტერი და აგრესორი სულაც არ არის საჭირო, ჩვენ რამე რომ გვავნოს. თვითონვე გავქრებით დედამიწის ზედაპირიდან და ამისათვის დიდი დროც არ დაგვჭირდება. თუ ყველაფერ იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენი ქვეყნის საგარეო პრობლემებსაც დავუმატებთ და იმასაც გავაანალიზებთ, რა რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში გვიწევს არსებობა, ძნელია, ოპტიმიზმით განიმსჭვალო და ცხოვრებას მხნედ შეხედო.**

ქართველი ფილოსოფოსი **კონსტანტინე კაპანელი** ასე ახასიათებდა ქართველ საზოგადეობას 1925 წელს: **„ქართველი საზოგადო მოღვაწე ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერია; ქართველი ხელოვანი ცრუ, კუდაბზიკა და ტრაბახაა; ქართული საზოგადო დაწესებულება ინტრიგებისა და ჭორების საზიზღარი ბუდეა; ქართველი დილიდან საღამომდე სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაამციროს მეორე ქართველი: წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველს არ აწუხებს. ქართველი მუხანათი და ვერაგია თავისიანებში; უცხო ტომში გარეული იგი კეთილშობილი და მორჩილი მოსამსახურეა. ქართველი საქმის სათავეში საზიზღარია: დაიკავებს თუ არა საპატიო ადგილს, მაშინვე თავხედურად გაიბღინძება... თეატრი, ბანკი, რკინიგზა, სასწავლებელი, რედაქცია – ყოველი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება ჭორებითაა სავსე და ინტრიგებში იხრჩობა. შედეგი ამ ჭორებისა და ინტრიგებისა ის არის, რომ თავმოყვარე, პატიოსანი და ნიჭიერი მუშაკი დაწესებულებიდან გადის, რადგან ვერ ითმენს უზნეობასა და უსინდისობას; დაწესებულებაში რჩება უნიჭო, უსინდისო, ფლიდი, მოღა-**

ლატე, რომელსაც მხოლოდ თავისი პირადობა აინტერესებს და რომლის იდეალია, ყველაფერი დაშალოს, ოღონდ კი თავის თავს ასიამოვნოს...“

შეიცვალა რამე?

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: **„ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა, ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი“.**

ქართველები ვიყავით და ვართ შემწყნარებლები, უცხოელებს უფრო წინა პლანზე ვაყენებდით და ვაყენებთ და პატივს ვცემდით და ვცემთ, ვიდრე საკუთარ მოყვასს. ტოლერანტობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს ქვეყანაში 50-ზე მეტი ერი ცხოვრობს. ყველა მოითხოვს ქართველებზე მეტ ყურადღებას და, რაც ხდება, მგონი, არ არის საჭირო, განვმარტო, რადგან კარგად ვიცით.

ან როგორ მოგწონთ სატელევიზიო შოუები — გადაცემები, სადაც ადამიანებს, ისე წააჩხუბებენ, როგორც მამლებსა და ძაღლებს... ჩვენც ტელევიზორის ეკრანზე ვუყურებთ, როგორ ლანძღავს და აგინებს ერთი ქართველი მეორეს. **როდემდე ვიჩხუბოთ და ვლანძღოთ ერთმანეთი, როდემდე ვცვალოთ მთავრობა და პარლამენტი, ხომ არ დადგა დრო, შევწყვიტოთ ქუჩის აქციები და მიტინგები, ყველა შევრიგდეთ, გამოვაცხადოთ ამნისტია? ჯანსაღი, ნორმალური კრიტიკით ვიცხოვროთ. როდესმე გველირსება ისეთი მთავრობა და პარლამენტი, რომლებიც მოგვეწონება, ხალხზე იფიქრებს და არ „დაგვაბოლებს“?** გონებადაბინდულობის, შავისა და თეთრის ვერ გარჩევის სენი ხომ არ დაგვემართა, ქვეყნისა და ერისადმი სამსახურის აუცილებლობა ღალატისა და ფულის შოვნის სურვილმა ხომ არ დაგვძლია?!

მკითხველო, თუ ვერ ჩაგაფიქრეთ და ვერ გაგაკეთებინეთ ისეთი დასკვნები, რომ ხვალიდან სხვანაირად შეხედოთ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გთხოვთ, წაიკითხოთ იოსებ ბაჩიაშვილის ზემოაღნიშნული წიგნი და დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ სხვანაირად შეხედავთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას.

ანზორ მესხიშვილი

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, N05, 2015 წ.

„ვინც დედულეთში დაბრუნებას აღარ ელოდა,
გაგიყოლია, ვით სიცოცხლის ძალა - მარადი,
შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან,
ალბათ ამიტომ დაპატარავდი!“

ავთანდილ გურგენიძე

როდემდე უნდა ჯიჯგნონ ქართული მიწა?!

1992-1998 წლებში ჩატარებული ნაჩქარევი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები დაქუცმაცდა, მრავალწლიანი ნარგავები კი განადგურდა. მიწის ფართობების ფიზიკურ პირებზე უფასოდ და პატარ-პატარა ნაკვეთებად განაწილებამ გამოიწვია მიწის დანაწევრება-ფრაგმენტაცია და მისი უეფექტოდ გამოყენება.

დაიწყო 0.15 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე (მაღალ მთიან რეგიონებში 5 ჰა-მდე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დარიგება. სახნავი მასივები დაიყო წვრილ კონტურებად და განაწილდა, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მოსახლეობაზე. სხვადასხვა მიმღებზე მიწა ერთ ნაკვეთად არ იყო გამოყოფილი. პირიქით, გამოყოფის არჩეული ვარიანტით, თითოეულ ოჯახს დაურიგდა დაახლოებით 3-7 ნაკვეთი, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიაზეა განლაგებული — დაშორება მესაკუთრის სხვადასხვა ნაკვეთსა და მის სახლს შორის შეიძლება 5 კმ-ზე მეტიც იყოს. ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დასახლებების შემოგარენში ხელმისაწვდომი მიწა საკმარისი არ იყო. ამგვარად, ბევრმა კომლმა, ფაქტობრივად, მითითებულ 1.25 ჰექტარზე ნაკლები მიიღო. ზოგან მიწის დარიგება გართულებული იყო იმის გამო, რომ მთავრობას არ შეეძლო მიწის განაწილების პროცესის კონტროლი და შესაბამისი წესებისა და რეგულაციების აღსრულება. ამ პროცესის შედეგად 1.300.000 კომლი (ოჯახი), დაახლოებით 3.5

მილიონი მოქალაქე, მიწის მცირე ნაკვეთების მესაკუთრე გახდა — კომლზე საშუალოდ 0,25 ჰა. მაგალითად, დედოფლისწყაროში (მარცვლეულის ბეღელი) 1992 წლამდე არსებული სახნავი 46 000 ჰა მიწა წარმოდგენილი იყო 560 ნაკვეთად. მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად აღნიშნული მიწა დანაწევრდა 26 000 ნაკვეთად.

საქართველოში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაცია — დიდი რაოდენობით მცირე ზომის, დახლოებით 1.25 ჰა, ნაკვეთების მესაკუთრეობა, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ფერმერული მეურნეობისთვის ძირითადი დაბრკოლებაა. ეს ფერმერები გამოიყენებენ ურისკო სტრატეგიებს და მათი განვითარების პოტენციალი ლიმიტირებულია. ისინი მიწას აღიქვამენ ისე, როგორც სოციალურ უსაფრთხოებას და არა როგორც ეკონომიკურ აქტივს. ფაქტობრივად, ამ ფერმერთა უმრავლესობა ფერმერულ მეურნეობაში გრძელვადიან პერსპექტივას, ფაქტობრივად, ვერ ხედავს და დღესდღეობით ლიმიტირებული ინტერესი აქვთ მიწის კონსოლიდაციის შესახებ. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0.14 ჰა სახნავი მიწა, 0.64 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ეს კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. სომხეთს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, უკან დასწია ქვეყანა და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექნიზაციის, ჰერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.

1996 წლის დასაწყისში მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი «სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ,» რომელიც ითვალისწინებდა სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის უფლებას საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირზე ე. ი. უცხო ქვეყნის მოქალა-

ქეს შეეძლებოდა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი რაოდენობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის შეძენა. საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა პროტესტისა და კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, შეიცვალა კანონის პროექტი და 1996 წლის 22 მარტს მიღებული იქნა საქართველოს კანონი: «სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ». მიღებული კანონის მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტში ჩაიწერა: «სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით». კანონის მიღების დროს კანონი შედგებოდა 22 მუხლისგან, მაგრამ მისი მიღებიდან დღემდე შეტანილი 14 ცვლილების შედეგად, ამოღებული იქნა 11 მუხლი. ფაქტობრივად, კანონმა დაკარგა მნიშვნელობა და ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. ცვლილებების შედეგად, 2007 წელს, კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული «ა» ქვეპუნქტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აკრძალულია მიწის ნაკვეთის გასხვისება, თუ სივრცობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთი გასხვისების შედეგად პატარავდება ხუთ ჰექტარზე ნაკლებად. შედეგად, ისედაც დანაწევრებული მიწები კიდევ უფრო მეტად დანაწევრდა. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ამოღებული იქნა, რომელშიც აღნიშნული იყო: «იმ მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, არ იხდის მიწათსარგებლობისთვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვება მეურნეობას და ასეთ შემთხვევაში იჯარითაც არ გაცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ასევე, კანონიდან ამოიღეს მემკვიდრეობის, სოფლის მეურნეობის ცნების, საერთო საკუთრების წილის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ღირებულების, გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელი ნებართვის გაცემის, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) გასხვისებისა და ნებართვის რეგისტრაციის ვალდებუ-

ლების და უპირატესი შესყიდვის უფლებების მუხლები. შეიძლება ითქვას, პარლამენტის რომელ წევრს რაც მოუნდებოდა, კანონიც ისე იცვლებოდა. რაც მთავარია, ყოველგვარი განხილვის გარეშე, კანონში შეტანილი იქნა ცვლილება და დაშვებილი იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაეცემა. შემდეგ ისევ აიკრძალა. ეს მუხლი კანონიდან ამოღებული იქნა (გაქრა), შემდეგ ისევ აღდგა. კანონში აღინიშნა: «უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, თავიანთ საკუთრებაში არსებული სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან(და) საქართველოს კანონონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე». გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმა გაითვალისწინა, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლოს გადაწყვეტილებითა და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას გამოიყენება: «აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები. ვერაფერს იტყვი, ძალიან კარგი და სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ: საოცრება! საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამასთანავე, მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა, დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და 2013 წლის 26 ივნისს გაატარა «საქართველოს საკონსტიტუციო სასამრთლოს პლენუმის გადაწყვეტილება N3/1/5/512», რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

საკუთრების შესახებ» საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა უცხოელთა (მოქალაქეობის არმქონე პირი) მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ეს ქმედება სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყეტილებამ აღაშფოთა საქართველოს საზოგადოების ნაწილი და საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა მორატორიუმი, შედეგად 2014 წლის ბოლომდე შეაჩერა სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოში არიან დაფუძნებულნი. ამის შემდეგ ავსტრიის მოქალაქეს შეაქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი მოთხოვნით საქართველოს პარლამენტის მორატორიუმის ბათილად გამოცხადების თაობაზე. ჩვენმა საამაყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ავსტრიის მოქალაქის სარჩელი და დღეს უკვე შესაძლებელია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირებმა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეიძინონ. საინტერესოა, ვინ არიან ეს დანიისა ავსტრიის მოქალაქეები, რა ინტერესი აქვთ და ვინ დგას მათ უკან. მაშინ, როდესაც ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით.

დანიასა და ავსტრიაში მიწების კანონმდებლობით უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შეძენა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

ვფიქრობთ, ჩვენი ჟურნალისტები დაინტერესდებიან, ვინ არიან ეს უცხოელები, რომლებიც ასე «ზრუნავენ» საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, ვინ დგას მათ უკან და ვის ინტერესში შედის საქართველოს ღალატი.

2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე უცხოელების მიერ შეიქმნა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც იყიდეს 271 ნაკვეთი. დღევანდელი მდგომარეობით (დაუზუსტებელი მონაცემებით),

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია ათასობით ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. საუბედუროდ, ამით არ დამთავრებულა ქართული მიწის ღალატი.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ჩვენი აზრით, ქართული მიწის ღალატის ფასად, 2004 წელს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა საჭიროებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს საქართველოს არც ერთი კანონმდებლობა არ იცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს დაქუცმაცებისგან და გაუბედურებისგან. საქართველოს კანონში «სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ» სანამ ცვლილებებს შეიტანდნენ, აღნიშნული იყო, რომ ხუთ ჰექტარზე ნაკლები ფართობის გასხვისება აკრძალული იყო. ცვლილებების შედეგად ეს ამოღებული იქნა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ნაცვლად იმისა, რომ მიწებს იცავდეს დაქუცმაცებისგან, ხელს უწყობს დაქუცმაცებას (მემკვიდრეობის სამართალი).

2013 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც საქართველოს მთავრობას დაევალა 2013 წლის 31 დეკემბრამდე:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით;

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა;

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება;

4. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასატრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

დაგვიანებული, მაგრამ საუკეთესო გადაწყვეტილებაა, უბედურება კი ის არის, რომ ამ გადაწყვეტილების არც ერთი პუნქტი არ არის შესრულებული.

დღეს ქართულ მიწას შინაური თუ უცხოელი ისე ჯიჯგნის, რომ არავინ არავის არაფერს ეკითხება. არ ეკითხებიან ჩვენს მარჩენალ მიწაზე დამკვიდრებულ გლეხს, არ ეკითხებიან ქართველ საზოგადეობას და, რაც საოცარია, არ ითვალისწინებენ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის აზრს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, ქვეყანაში შეიქმნას მძლავრი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება. უნდა აღდგეს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტი, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას მიწის კოდექსი (არსებობს ტყის, წყლის, წიაღის და სხვა უამრავი კოდექსი და არ არსებობს მიწის კოდექსი), აღდგენილ იქნას უნივერსტიტეტში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ფაკულტეტი.

ანზორ მესხიშვილი

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, N25, 2014 წ.

საქართველოს მთავრობას

გაახლებთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელიც შეეხება საქართველოში მიწის აღრიცხვის პრობლემის მოგვარებას.

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც 2004 წელს უსაფუძლოდ ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასაოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღი, ცოტრუსები, ჩაის ფართობები გვაქვს.

საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში – პირობითი გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. უკანასკნელ პერიოდში ეს პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწების უფრო რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოწყობო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება.

ზოგიერთი ხელმძღვანელი მიწის ბალანს ვერ ანსხვავებს მიწის კადასტრისგან და აცხადებს, რა საჭიროა მიწის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთო მიწის კადასტრს. მიწის კადატრი არის მიწის ფართობის დადგენა გეოგრაფიული, იურიდიული და ფიზიკური მდგომარეობით. მიწის კადასტრი არის საინფორმაციო სისტემა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: რუკების ან გეგმების რიგისგან, რომლებიც ტექსტურ ჩანაწერებთან ერთად, მიწის ყველა მონაცემის აღწერით გვიჩვენებს თითოეული ნაკვეთის ზომასა და ადგილმდებარეობას.

მიწის ბალანსი ანუ მიწის აღრიცხვა არის მიწის ფართობების დადგენა მიწის დანიშნულების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით. მაგალითად მიწის ბალანსი რაიონში აზუსტებს და აღრიცხავს რაიონის მთლიან ფართობს, მათ შორის რამდენი ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები კატეგორიების მიხედვით(სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავლწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილის ბაღი, ციტრუსები, ჩაის ფართობები და სხვა), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებს, ტყის ფონდის მიწებს, წყლის ფონდის მიწებს და სხვა მიწებს მესაკუთრეების მიხედვით. რის შემდეგაც დგება რაიონის მიწის ბალანსი. მიწის ბალანსი ცვალებადია მისი დაზუსტება უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად, რადგან შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გადავიდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად. სათიბ-სახნავში, საძოვარ-სათიბში, მრავალწლიანი ნარგავები სახნავში და პირიქით. სახელმწიფო საკუთრების მიწები უნდა გახდეს კერძო ან მუნციპალურ საკუთრებად.

საქართველოს თითოეული რაიონის მიხედვით გაკეთებული მიწის აღრიცხვა-მიწის ბალანსის (ინვეტარიზაცია) საფუძველზე უნდა შედგეს საქართველოს მიწის ბალანსი.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ

შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატებაკლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე იმიტომ გავაკეთეთ აქცენტი, რომ– მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება მთავრობის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლებელი იქნება მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მიწაზე მონიტორინგის და მიწის სათანადო დაცვის გარეშე. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში დროულად შეიქმნას მძლავრი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.

ასევე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს გაკეთდეს მიწის ბალანსი და ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია.

ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა აღნიშნული საკითხის მომზადებაში და წარვუდგინოთ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადებები დაინტერესებულ სახელმწიფო სტრუქტურებს.

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ეკონომიურ მცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ანზორ მესხიშვილი

ბოლოთქმა

პატივცემულო მკითხველო!

ქართული მიწის, ანუ ქვეყნის გადარჩენის პრობლემების თაობაზე, ჩვენს მიერ პერიოდულ პრესაში გაოქვეყნებული სამი წერილის ერთ კრებულში თავმოყრა, განაპირობა მისმა უდიდესმა ეროვნულმა აქუალობამ, კერძოდ იმან, რომ ქართული მიწა, ასე ხელაღებით უცხოელებზე არ უნდა იყიდებოდეს.

ძველად: ორ ზღვას შორის საომარი იყო ლელო, ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო.

დღეს: ორ სახელმწიფოს შორის საომარია ლელო, ღმერთო გადაარჩინე საქართველო.

ჩვენი ასეთი კატეგორიული მოთხოვნა ხმამაღალ ნათქვამად რომ არ ჩაგვეთვალოს, თავს უფლებას ვაძლევ, როგორც ყოველთვის, ახლაც, ყოველთა ქართველთა სულიერი მამა, ერის სახელი და დიდება — **ილია ჭავჭავაძე** მოვიშველიოთ:

„რომელი ვნება შეედრება იმ ვნებას, რომელიც თავს ატყდება სამშობლოს მამულების სხვის ხელში ჩაგდებით და თავისიანების გამოწირვით!

კაცი შეიძლება შესცდეს სამამულიშვილო კითხვების გარჩევაში, გარნა ეს შეცდომა, ვითარცა შეცდომა, გასწორდება, თვით შემცდარი ისევ მობრუნდება და, შეიძლება, ყველას გადააჭარბოს მამულიშვილობით...

სულ სხვაა დედა-მიწის გაყიდვა. ნებსით გაყიდოს მამული, გინდ უნებლიეთ, ორივე შემთხვევაში გამყიდველი დიდს დანაშაულს იდებს კისერზე წინაშე თავის მემკვიდრეებისა და წინაშე მთელის სამშობლოსი. მისი საქციელი ვეღარ გასწორდება ვერც სინანულით და ვერც დრო-ჟამის მსვლელობით. ძვირფასი თვალი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლაო და ათასმა ჭკვიანმა ვეღარ ამოიღო. ასეა მამულის გაყიდვის საქმეც.

მისი მყიდველი შიგ სახლდება მკვიდრად, ღობე-ყორეს უახლებს, არხებსა და რუებს უწმენდავს, ვენახებსა, ზვრებს და ტყეს ასუფთა-

ვებს და ყველგან ასახლებს თავისიანებს. მოსული ხდება ბატონად და უფლად ბინდართა სახლებისა, კერიისა, საყდრებისა და საფლავებისაც კი. მასში აღებული ფული-კი იფლანგება და ქარქთვეტასავით ნიავდება და წყალდება.

ერთი იძენს საუკუნო სამკვიდრებელს, მეორე ჰკარგავს იმ მასაზრდოებელ წყაროს,რომელსაც ჩვენ, ქართველნი, სამართლიანად ვუწოდებთ დედა-მიწას. ერთი იძენს უშრეტ წყაროს ცხოვრებისას, მეორე ითვლის ბრჭყვიალა ლითონს, რომელიც იმდენად არას ჰმატებს კაცს, რამდენადაც თვისს მონად ჰხდის მანამდე თავისუფალ არსებას.

ამიტომაც დედულ-მამულის სხვა ტომ-მოდგმის ხელში ჩამგდებელს ყველა ქვეყანაში ზიზღით უღურებენ, მას აღარ სთვლიან თავის სისხლ-ხორცად, მას აცხადებენ მამულის მოღალატედ და ყველას ავალებენ მასთან შეწყვიტონ ყოველივე კავშირი და დამოკიდებულება.

ჩვენში-ღა?... ჩვენში ჯერ ეს ესრე არ არის. ჩვენში თვით მამულის გამყიდავნი დიდ პატრიოტებად ითვლებიან და ამ "პატრიოტებს" ის გაბედულებაც აქვთ, რომ სხვანი გამოაცხადონ მამულის მოღალატედ..... ეს საცინელი იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს. სამწუხარო-კი იმიტომ არის, რომ დღევანდლამდის ჩვენ ვერ გაგვირჩევია, რაა ჭეშმარიტი მამულიშვილობა და რაა ნამდვილი მოღალატეობა წინაშე მამულისა და კერიისა, ამ ყოველ გაგებულთა წმიდათა უწმიდესისა.

როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამიწა. .....ისტორიამ არ იცის ამგვარების პატიება..... ჩვენი ისტორია და ერის მსჯავრი შეაჩვენებს იმათ, რომელთაც მუშაობა, ოფლითა თავისით პურის ჭამა მეტ ბარგად მიაჩნიათ და გასაყიდად იმეტებენ მათ მაწოვნებელ-მარჩენალ დედა-მიწას, შეძენილს ქართველის მკლავით, ქართველის ოფლითა და სისხლით. შრომა, შრომა და კვლავ შრომა გვეწეროს მისწრაფებად, ძმანო ქართველნო, თუ არ გვინდა აღვიგავნეთ პირისაგან ქვეყანისა, თუ არ გვინდა შევიქნეთ ცხოვართა ფარად, რომელსაც კვერთხით ხელში მწყსიან ხოლმე და კომბლით მიერეკებიან საყასბოსაკენ დასაკლავად და ზაფხულის და ზამთრის იალაღებისაკენაც სასუქებლად და საკრეჭად".

ანზორ მესხიშვილი

სარჩევი

საქართველოს მიწა განსაცდელშია! ---------- 4
ქართველებო გამოვფხიზლდეთ! ---------- 13
როდემდე უნდა ჯიჯგნონ ქართული მიწა?! ------ 19
წერილი საქართველოს მთავრობას ---------- 26
ბოლოთქმა ---------- 29

რედაქტორი:
ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
იაკობ გოგებაშვილის მედლისა და
ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი,
გაზეთ „თანადომის“ რედაქტორ-გამომცემელი

ტექნიკური რედაქტორი:
კახა მახარაშვილი

აიწყო-დაკაბადონდა და დაიბეჭდა:
შპს „გამომცემლობა სამშობლო“-ში
მის.: თბილისი, დიღმის მასივი, რობაქიძის 7
ტელ.: 599 95 31 90

ISBN 978-9941-0-7588-9

ანზორ მესხიშვილი —

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში და ქ.თბილისის გამწვანების სამმართველოში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განყოფილების გამგედ, მთავარი სამართველოს უფროსად, თეთრიწყაროს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამართველოს უფროსად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროსად. არის დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში, გაეროს ევროპის ეკონომიური კომისიის (ორჰუსის) კონვენციის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერნაციაონალური-გეოკონსულტაციური ფირმა „დოქტორ ვაისი და პარტნიორის“ სერტიფიკატების მფლობელი უძრავი ქონების, თანამედროვე კადასტრისა და რეგისტრაციის საკითხებში. ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, ასამდე სამეცნიერო შრომის, 9 წიგნისა და ერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი. დაჯილდოვებულია საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით, მედლებითა და სიგელებით.

9 789941 075859